ბზის გამრავლება საშინაო პირობებში

გადაარჩინე კოლხური ბზა

კოლხური ბზა – გადაშენების საფრთხის წინაშეა. უნიკალური სახეობა მასობრივად ხმება ბუნებრივი გავრცელების მთელ არეალზე, რაც უდიდესი დანაკლისია როგორც ეკოლოგიური, ისე კულტურული თვალსაზრისით.

სამეცნიერო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები შექმნილ სიტუაციას ეკოლოგიურ კატასტროფად აფასებენ და სახეობის გადარჩენის ეროვნულ გეგმაზე თანხმდებიან, რაშიც მოსახლეობის ჩართულობასა და ცოდნაზე დამყარებულ მოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

კოლხური ბზა (Buxus Colchica) – საქართველოს ფლორის რელიქტი და კავკასიის ენდემია.

2013 წელს, დაავადებით გამოწვეული მასობრივი ხმობის გათვალისწინებით, კოლხურ ბზას IUCN-ის „წითელ ნუსხაში“ კრიტერიუმი შეეცვალა და საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებში გაერთიანდა.

ბზის ალურა – პეპელა, რომელიც იკვებება ბზის ფოთლებითა და ახალგაზრდა ყლორტებით, ზოგჯერ ქერქითაც. განსაკუთრებული ზიანის მოტანა შეუძლია მატლის სტადიაზე.

სიმპტომები: რკალისებურად შეჭმული ფოთლები, მომწვანო ხაკისფერი ექსკრემენტები და ტოტებს შორის გაბმული აბლაბუდები.

დადგენილია ხმობის ძირითადი მიზეზები:

სოკოვანი დაავადება ე.წ. ბზის სიდამწვრე

მავნებელი მწერი – ბზის ალურა

ზომიერი კლიმატის პირობებში წლის განმავლობაში შეუძლია 2-3 თაობის მოცემა, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში დაფიქსირდა 5-6 თაობაც.

ბზის კორომები თითქმის აღარ არსებობს აჭარაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში. ბზობის დღესასწაულისთვის მისი დიდი რაოდენობით მოპოვება კიდევ უფრო ანადგურებს უნიკალურ მცენარეს.

როგორ ვებრძოლოთ ბზის ალურას

შეწამვლა უნდა განხორციელდეს მცირე ზომის მატლების აღმოჩენისთანავე

რეკომენდებულია ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდის გამოყენება შეწამვლა-შესხურებით.

გამოიყენება სპეციალური ბაქტერიის – Bacillus thuringiensis-ის – ბაზაზე დამზადებული პრეპარატები.

კერძო ტერიტორიებზე და გამწვანებაში დაშვებულია ქიმიური საშუალებების – დიმილინისა და ბი58-ის – გამოყენება.

განმეორებითი შეწამვლა ხდება მატლების ხელახლა გამოჩენისას

„ბზის სიდამწვრე“ – პათოგენური სოკო.

სიმპტომები: ფოთლებზე შეინიშნება მომრგვალო ფორმის მოყვითალო-მოყავისფრო ლაქები მოშავო ფერის რკალით, რომლებიც შემდეგ შავდება და მცენარე გამოიყურება, როგორც ცეცხლისგან დაზიანებული. აგრეთვე, ღეროსა და ყლორტებზე შესამჩნევად გამოკვეთილია ელიფსური ფორმის ნეკროზები.

ნუ გახდებით დაავადების გავრცელებისა და ბზის კორომების განადგურების მიზეზი. თავი შეიკავეთ ბზის ან მისი ნაწილების ტრანსპორტირებისგან.

როგორ ვებრძოლოთ „ბზის სიდამწვრეს“

დაავადების წინააღმდეგ ბიოლოგური ბრძოლის მეთოდი ამ ეტაპზე ცნობილი არ არის.

კერძო ნაკვეთებსა და გამწვანებაში დაშვებულია ქიმიური საშუალებების-ფუნგიციდების: სიგნუმისა და ოქტავეს – გამოყენება.

„ბზის სიდამწვრე“ ვრცელდება:

1. სამუშაო იარაღებით;
2. ტანსაცმლით;
3. დაავადებული მცენარის ან მისი ნაწილების გადაადგილებით.

უკანონო მოპოვება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ეროვნული სატყეო სააგენტო, დაცული ტერიტორიების სააგენტო და CENN მოუწოდებენ მოსახლეობას, მაქსიმალურად შეიკავოს თავი ბზის მოჭრისაგან, მისი რეალიზაციის მიზნით და დიდი რაოდენობით ტოტების შეძენისაგან.

ბზის, როგორც წითელი ნუსხით დაცული სახეობის, მოჭრა, ამოძირკვა ან ტოტების დაზიანება დასჯადი ქმედებაა და აღ-ნიშნულზე გათვალისწინებულია როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომები.

საჯარიმო სანქციების ოდენობა 200-დან 500 ლარამდეა, ხოლო, თუ გარემოსათვის მიყენებული ზიანი აჭარბებს 1000 ლარს, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე.

ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით იმატებს ბზის ან მისი ნაწილების უკანონოდ მოპოვების ფაქტები, რის გამოც ნადგურდება შემორჩენილი ჯანსაღი კორომები

ბზის მოპოვება შეიძლება მხოლოდ კერძო საკუთრებაში არსებული სანერგეებიდან, ხელოვნურად გაშენებული პლანტაციებიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ადგილწარმოშობის ცნობის საფუძველზე.

გამოიყენეთ მოჭრილი ბზის ტოტები მის გასამრავლებლად და შეიძინეთ ქოთანში გამოყვანილი ბზები.

მოემზადეთ ბზობის დღესასწაულისთვის, გაამრავლეთ ბზა თქვენ თვითონ!

ბზის გამრავლება კალმით

მცენარის შერჩევა

- დაკალმებისთვის აუცილებელია, მცენარე შეარჩიოთ დიდი ყურადღებით. შერჩეული მცენარე და მის გარშემო ყველა მცენარე უნდა იყოს ჯანსაღი;
- კალამი უნდა იყოს ერთი წლის მაინც, არ არის სასურველი კალმად ახალი ნაზარდის გამოყენება.

კალმის მომზადება

- მჭრელი სეკატორით უნდა აიჭრას 12-15 სმ სიგრძის კალამი;
- აჭრილ კალამს მჭრელი დანით უნდა მოეჭრას ქვედა ფოთლები 5-7 სმ-ზე, ისე, რომ არ დაზიანდეს ღერო;
- გამზადებული კალამი შეახვიეთ პოლიეთილენში, ან ჩადეთ წყალში, რომ დარგვამდე არ გამოშრეს.

სუბსტრატად გამოიყენეთ ტორფის წვრილი ფრაქცია;

სუბსტრატი მოათავსეთ 3-4 სმ დიამეტრის კასეტებში ან ერთჯერად ჭიქებში;

კასეტებში მოთავსებული სუბსტრატი კარგად მორწყეთ.

კალმის ჩარგვა

- მოამზადეთ დასაფესვიანებელი ხსნარი (ჰეტრეოაუქსინის 2 აბი იხსნება 10 ლიტრ წყალში, საკმარისია 1,000 კალმისთვის);
- გამზადებული კალმის ღეროს ქვედა ნაწილი ჩადეთ დასაფესვიანებელ ხსნარში და გააჩერეთ 10-16 საათი;
- სუბსტრატში წვრილი ჯოხის საშუალებით გააკეთეთ ჩაღრმავება;
- შემდეგ კალამი ჩადეთ სუბსტრატის ჩაღრმავებულ ადგილას და სუბსტრატი კარგად დატკეპნეთ;
- დაკალმების შემდეგ კასეტებს გადააფარეთ პოლიეთილენის პარკი;
- დადგით თბილ, განათებულ, მაგრამ მზის პირდაპირი სხივებისგან დაცულ ადგილას.

- პერიოდულად შეამოწმეთ ნიადაგისა და ჰაერის ტენიანობა;
- პერიოდულად შეამოწმეთ კალმების სიჯანსაღე;
- დაუყოვნებლივ მოაშორეთ დასნებოვნებული მცენარე.

დაფესვიანება და გადარგვა

- კალამი გადასარგავად მზად იქნება დაახლოებით 2 თვეში.

გაცნობებთ, რომ კოლხური ბზის განადგურების რეალური საფრთხის არსებობიდან გამომდინარე, მკაცრდება კონტროლი ბზის მოჭრაზე.

სამართალდამრღვევზე გავრცელდება კანონით დადგენილი სანქციები. კერძოდ: სამართალდამრღვევს ჯარიმა ეკისრება ყოველი მოტეხილი ტოტისათვის.

გარემოზე მიყენებული ზიანის სიმძიმის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა მერყეობს 200-დან 600 ლარამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გარემოსათვის მიყენებული ზიანი 1,000 ლარს გადააჭარბებს, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე.

ერთად ვიზრუნოთ ბზის გადარჩენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალი ბზობის დღესასწაულს ბზის გარეშე შევხვდებით.

გამოიყენეთ ბზის მოჭრილი ტოტები მის გასამრავლებლად და შეიძინეთ ქოთანში გამოყვანილი ბზა.

ბროშურაში აღნიშნული საქმიანობების განხორციელება აკრძალულია სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონის ტერიტორიებზე.

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

CENN
Caucasus Environmental NGO Network

ეროვნული საგზაო სააგენტო

საქართველოს გარემოსა
და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო

ENPI EAST FLEG II

ბზის უკანონოდ მოჭრის ფაქტებთან დაკავშირებით დარეკეთ გარემოსა
და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე: 153,
ან დაუკავშირდით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო
ორგანიზაციების ქსელის (CENN) სათავო ოფისს. ტ.: +995 32 275 19 03/04